

ახალგაზრდა იმპერიელი

სამუშაბათი,
10 აპრილი,
1990 წ.
№ 39 (11525)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
კავალარების
კავალარების
კავალარების

ახალგაზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფანი 3 კაპ



ბადრი ჰადაშკორიას ფოტო.

...მტერო, არ შაგიშინდება!

საოცარი სანახავი იყო გასულ კვირა ღამეს რუსთაველის პროსპექტი, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია.

შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველო, ერი და ბერი, დაახლოებით 100 ათასი კაცი მაინც იყო იმ ღამეს აქ — 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

იყო სანთლები, ყვავილები, ცრემლები, მოგონება, ტკივილი, თავისუფლების წყურვილი...

ხალხმა საოცარი სიყვარულიც იცის და სიძულვილიც. ორივე გამოიხატა აქ. პირველი იმათ მიმართ, ვინც ზეარაკი გახდა, ვინც უღალატოდ აკეთა იმ მძიმე წუთებში ქართული საქმე; ზიზღი კი იმათ მიმართ, ვინც ეს სასაკლაო, ეს უანალოგო ვანდა-

ლიზმი მოაწყო. სწორედ ამის დასტური იყო გენერლის ფიტულის საჯარო დაწვა...

ბევრს, ძალიან ბევრს განუახლდა ის კოშმარული ერთი წლის წინანდელი ღამე, ის წუთები...

მიტინგი გვიან, გამთენიისას დამთავრდა, მაგრამ ხალხი უცებ არ დაშლილა, მერე ერთი-ორგან წრე შეიკრა, ბიკებმა ჯერ „შავლეგო“ წამოიწყეს: „შავლეგოს“ სხვაც მოყვა — „მტერო, არ შაგიშინდება“. ძლიერ, ომახიან ქართულ სიმღერებში ჩანდა ხალხის დამოკიდებულება მომხდარისადმი. მერე სიმღერას ცეკვა მოჰყვა, ცეკვას — ლექსი... ერთი შეხედვით, ყველაფერი სტიქიურად, მაგრამ საოცარი ორგანიზებულობით კეთდებოდა, მიუხე-

დავად იმისა, რომ ამისათვის საგანგებოდ არავის უზრუნია.

ეს არ იყო სამგლოვიარო მიტინგი. ეს სხვა რამ იყო — ქართული სულის, გენის, ხასიათის, ზნეობის დამადასტურებელი; იმის უტყუარი დასტური, რომ ქართულ სულს, გენს სიკვდილი არ უწერია, რომ საღათას ძილიდან გამოსული და თავისუფლების გეშნაკრავი ერის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შეჩერება შეუძლებელია.

გუშინ, გლოვის დღეს მოეწყო საპროტესტო აქციები. მასალებს მის შესახებ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ. კვირა ღამის ფოტორეპორტაჟს კი მე-4-5 გვერდებზე იხილავთ.

საპუტარი ინფორმაცია

დაგვიხსენებთ

ანუ

ას იყო გენოციდი

9 აპრილის ტრაგედიის ანალიზი და განსჯა, უთუოდ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. არსებობს ათასობით ჩვენება, უამრავი ვიდეოკადრი და ფოტოსურათი, უთვალავი საბრალოდებო ნივთი, საგანი, მაგრამ უზენაეს სასამართლოს და უფრო მეტად საქართველოს მომავალს, სხვაგვარი მასალებიც სჭირდება.

და მეც, ამ რწმენით, როგორც კვლევითი ჟურნალისტიკის მიმდევარმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიის ინფორმაციის ქვეყნისთვის წევრმა, გამოვამყვანე მცირე ნაშრომის საგანზეთ ვარიანტები (თბილ.: „ახალგაზრდა იმედი“ № 18, XI. 1989; „კომუნისტ“ № 21, XII. 1989; „ვერნი“ ტბილისი“ № 22, XII. 1989).

ცხადია, ჩვენი კვლევის შედეგები თავის დროზე მოხსენიდა როგორც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ზემოხსენებულ კომისიის, ისე სსრ კავშირის სახალხო დემოკრატიული პირველი ყრილობის მიერ შექმნილ, ანუ როგორც ხალხი უწოდებდა, ანატოლი სობჩანის კომისიას.

ამჟერად ვთავაზობთ მხოლოდ ერთი კითხვის — რა სიტყვებს წარმოთქვამდნენ დამრბევენი? — პასუხებს:

უნდა ითქვას, ჩვენს მიერ გამოკითხული 63 დამრბეველი და მომწიშნილი (20 ქალი და 43 მამაკაცი) 9 აპრილის ტრაგედიის უშუალო მონაწილეთა (10 000—12 000) სულ რაღაც 0,5 პროცენტია, ხოლო დამრბეველთა, ალბათ, 1,0 პროცენტია არის, მაგრამ...

დიახ, ჩვენში, გეორგიანელთა-მიწათმოქმედთა ქვეყანაში, მასპინძელი, გენგაბთ სტუმარი, უზარმაზარ ქვეყრში მოქცეულ თავანჯარა ყურძნის ნაწურს ოდიოგანვე მცირე სასმისით ავამწიკვებდა ხოლმე. ასე რომ, საერთოდ არსებული მასალებით კი არა, მხოლოდ აქ წარმოდგენილი მასალებითაც ცხადზე უცხადესია — ეს იყო გენოციდი!

ხოლო გენოციდი, მოგეხსენებათ, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების რასობრივი ან ეროვნული (რელიგიური) მოტივებით გაქვლევას ნიშნავს. გენოციდი ითვლება ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად კაცობრიობის წინაშე...

რაც შეეხება ჩვენს წერილში მიმოვანთულ პირობით ნიშნებს, ნომრებს, ეს სახელის, გვარის, ასაკისა და საქმიანობის მაჩვენებელია, და სრული სახით მოკვეთულია ზემოხსენებული „კომუნისტისა“ და „ვერნი“ ტბილისის“ პუბლიკაციები.

მაშ ასე, ვთავაზობთ უშუალო თვითმხილველთა, დამრბეველთა და მომწიშნილთა გაგონილ-მოსმენილს. მათი ჩვენებათა დედნები ითუ ასლები სათანადო აღგვილას ინახება და გაცნობა ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია...

საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა ერთი ნაწილის პასუხი ზოგადია — „ვცემდნენ, ვვიტყამდნენ, ვვიანებდნენ დედას, სამშობლოს, ჯიშს...“ „ურტყამდნენ, ჩხედნენ გოგონებს და ქალებს და აკინებდნენ...“

ხოლო უმრავლესობამ აღადგინა-გაიხსენა რუსული სიტყვები, თავით-ფეხამდე შეიარაღებული

დამრბევენი მომწიშნილების და მომტიბევეების უმოწყალო ჩხვი-სას რომ გაკვიოდნენ. აი, ეს „სიტყვები“:

„ჩემი ნე რაული, ჩემი ვი ნე რაზმინოვალის“, მუცელში ურტყამდნენ და... „ნუ, რაულიტე ტეპერ?“, „ტაპ ნალო ფაშისტამ“, „ნატო ჩემ ვი ვარუნი“, „ვოტ ვაშა ნე ვაგინისისტი“, „ხვობოდუ, დემოკრატიუ ზაზობელი“, „ხუკინი ხინი“, „ხვობოდუ ზაზობელი, ხუკი“, „ხლავა, ხლავა“, „მარა“, „ბეიტე, უბეიტე“, „ვოტ ვამ, ვარუნიტე შლუხი“, „ხმერე ვარუნიტე“, „ნადედა ვამ ხარო-შაი ეიხე და?“, „ამერიკანსი ვლაჰ პოვეხილი, ხვობოდუ“, „ვხეხ ვარუნიტე ნალო პერერე-ვატ“, „უხობოდუ, ატო პოვდნო ბუდეტ“, „ვი ვნუკი ხტალინა, ვი ვას უნიტოვტი“, „ვოტ ეტო ვამ ზა ხტალინა“, „ვოტ ეტო ვამ ზა ხტალინა, ვოტ ეტო ვამ ზა ბერია“.

9 აპრილის შემდეგ ერთი წელი გაიდა, მაგრამ არის კითხვები, რომელთა პასუხი არ ვიცით; დღემდე უპასუხოდ არის დარჩენილი უმრავლესი კითხვები: ჯერ ერთი — ვინ შეითხნა საბუთი, საქმე, რამაც განაპირობა ბრძანება დარბევის შესახებ? მეორე — ვინ შედგინა მიტინგის დარბევის, მოქალაქეთა ხოცვა-ჟლეტისა და მასობრივი მოწამლის გეგმა? მესამე — ვისი ბრძანებით განხორციელდა ეს აქცია? მეოთხე — ვინ არიან პიროვნულად აქციის უშუალო შემსრულებლები — მკვლელები?

ნათელია, ქვეყანამ უნდა გაიგოს ამ ბნელი საქმის მონაწილე სპეცრაზმების თითოეული ჯალათის, მათ წამქვებელთა და ხელმძღვანელების სახელი, გვარი, მშობილთა თუ აღმზრდელ-მასწავლებელთა სახელები, სამხედრო და სამოქალაქო სპეციალდა და ზუსტი მისამართი; ქვეყანამ უნდა იცოდეს, თუ ვინ, სად და როგორ ზრდის ადამის ძის სულს, რამეთუ ქვეყნად ყოველი სიკეთე თუ ბოროტება ბავშვობიდან, ოჯახიდან, აღმზრდელ-მასწავლებლებიდან და... გარემომცველი საზოგადოებიდან მოდის!

გვანჯი მანი

გაბი შერადგა საპროპოზიციონერი

საკვბ ისტორიის სასწავლო კურსი, რომელიც თითქმის ახალი სახით შეცვალეს (სახელდობრ X საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიით), იგივე პარტიის ისტორიის კურსია, რომელმაც წლების მანძილზე დაგვიტოვა თვის დამძიმებულ სქემებით, გაყალბებული ეპითეტებით. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა, ალბათ, სამართლიანადაც უარს ამბობს პოლიტიკური ისტორიის, იგივე, საკვბ ისტორიის სწავლებას და გულწრფელად აყენებს ერის ისტორიის შესწავლის აუცილებლობას.

დღეს, როცა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავალი გზით მიედინება, ახალგაზრდობაში იდეოლოგიური მუშაობის საუკეთესო და სრულყოფილ ფორმად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიის დამრბეველებს.

ფიქტობა, რომ ოთხი სემესტრული სწავლება-საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანად მივწოდოთ სტუდენტებს საქართველოს უძველესი, ახალი და უახლესი ისტორიის მასალებს. საქართველოს ისტორიის სრულყოფილი შესწავლა საშუალებას მოგვცემს დროულად ჩავანდოთ ახალგაზრდობა მსოფლიო ისტორიის აქტუალურ საკითხებში და ჩავუნერგოთ სწორი იდეოლოგიური ორიენტაცია. ამა-

საპროპოზიციონერი

სთან, აუცილებლად მიგვანია, რომ საქართველოს ისტორია ასწავლონ სათანადო განათლების მქონე საქართველოს ისტორიის სპეციალისტებმა და არა შემთხვევითმა პირებმა, კარგი იქნება თუ სამომავლოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტურა მოამზადებს ახალ კადრს საქართველოს ისტორიის სპეციალობით. სასურველია გამოიცეს საქართველოს ისტორიის ახალი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის. რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში უნდა შეიქმნას საქართველოს ისტორიის კათედრა.

ლამარა კირვალში, თეატრალური ინსტიტუტის დოცენტი

გთხოვთ მონორალი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას ხანელის ფონდში.

საპროპოზიციონერი

სტუდენტობა კმაყოფილებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მიერ ყველა უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღების თაობაზე. ამასთანავე, შეგვაფრთხილა ამ ფაქტზე, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის საბაზო გამოყოფილი საათებით ლექციების წაკითხვას აპირებენ საკვბ, მეცნიერული კომუნისმის და სხვა დარგების სპეციალისტები.

აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც საკვბ და ათეიზმის კათედრა მეოცე საუკუნის სოციალ-პოლიტიკური მოძრაობის და რელიგიის კათედრად უნდა გადაკეთდეს, რელიგიის და საქართველოს ისტორიის ლექციებს საკვბ და ათეიზმის სპეციალისტები წაიკითხავენ.

ასეთი მოვლენები კუროზად მიგვანია და იგი საქართველოს ისტორიის სწავლების მდგომარეობას გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესებს გამოიწვევს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მოვითხოვთ:

1. სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრებზე, აგრეთვე, ყველა უმაღლესი სასწავლებლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე საქართველოს ისტორიის სპეციალისტი მეთრეხს ლია კონკურსის წესით, კონკურსი ჩატარდეს ამა წლის აპრილის თვის ბოლო რიცხვებში აკადემიკოს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური კომისიის შემადგენლობით, რომელშიც შეყვანეს: უმაღლესი სასწავ-

ლებლების საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, რუსთაველის საზოგადოების და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის, სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლობა. საქართველოს ისტორიის სწავლების არადამაკმაყოფილებელმა მდგომარეობამ გამოიწვია როგორც სკოლის, ასევე უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობაზე უარყოფითი გავლენა. აღნიშნული მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს გამდიდრებას თუ საქართველოს ისტორიის სწავლება კვლავაც არა-კომპეტენტურ პირებს მიენდობა, სტუდენტი ახალგაზრდობა უარყოფითი აქციით შეგზდება ამ მოვლენას და ასეთი ლექტირების ლექციებს არ დაესწრება.

დამოკარბ პედაგოგთა კავშირი, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა.

„დადგენილება“ ანუ რამბრო...

7 აპრილს, „დაბადებიდან“ 10 წელი შეუსრულდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვასთან დაკავშირებულ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ ღონისძიებათა შესახებ“.

„დადგენილებას“ შინაარსი 15 აბზაცისაგან შედგება. ქვემოთ შემოგთავაზებთ 15 აზონაწერს 15 აბზაციდან:

1. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის საერთო-პარტიული დოკუმენტია...“
2. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო...“
3. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნებმა „მცირე მიწამ“, „აღორ-ძინებამ“ და „ყამირამ“, რომლებიც პარტიულ მუშაკთა ნამდვილი ენციკლოპედია...“
4. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები რესპუბლიკის მშრომელებს აღფრთოვანებს...“
5. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებმა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოველი ინტერესი და მზურავლე გამომწვევებამ გამოიწვია...“
6. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირამ“ მიხედვით იღი-ურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები...“
7. „...უღრესად დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლენინური პრემიის გადაცემის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას...“
8. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის დებულ-ბათა ფართო და გეგმაზომიერი პროპაგანდა...“
9. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულ-ბათა შესრულების კონკრეტული გეგმები...“
10. „...გამაღონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დროს და საფუძ-ვლიანი ახსნა-განმარტებითი მუშაობა...“
11. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ძირითად დებულბათა სა-ფუძვლიანი შესწავლა...“
12. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებთა მიხედვით...“
13. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის გამო მთელი პროპაგანდისტ-ტული და ახსნა-განმარტებითი მუშაობა უნდა წარმოებდეს იმ ნიშნით...“
14. „...ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიხედ-ვით...“
15. „...ფართოდ და მიზანდასახულად გაუწიონ პროპაგანდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას...“

ნეტარ არიან მორწმუნენი? გიყი თავისუფალია?!

ციტატები ამოწერა გარმანე ფაცაცინაშ

სიკითხის ნერგი იხარებს... სახელი შეეხვალა გავით „ნორკი ლენინელს“

გჯეროდეთ, ჩვენი პატარა მკითხველებო... გჯეროდეთ, რომ თქვენს მიერ სულ ახლანან დარგული „ნერგი“ მა-ლე, ძალიან მალე გაიხარებს, აყვავდება და დიდ, ძალზე დიდ სიხარულს მოგიტანთ მისი ნაყოფი.

ღმერთმა დალოცოს თქვენი პირველი ნაბიჯები სიკეთისაკენ ხავალ გზაზე!

ახალგაზრდა იმედი

მერაბ კოსტავას საზოგადოების მრილობა

საქართველოს სპორტსახკომის ოლიმპიური რეზერვების კომპლექსის სააქტო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების პირველი ყრილობა. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საზოგადოების წევრმა ნუგზარ მლორდინაშვილმა. თანამოსწრებით გამოვიდნენ საზოგადოების ფილიალების წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა საზოგადოების პროგრამა და წესდება. აირჩია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები. შემდეგ მიიღეს რეზოლუციები: დემოკრატიული ექსპანსიის შე-

საკუთარი ინფორმაცია


შეიქმნა საპროპოზიციონერი პროპოზიციონერის რეკონსტრუქციის თანადგომის კავშირი „გაულისვილი“

რომელიც წარმოადგენს საქველმოქმედო ორგანიზაციას და მისი უზენაესი მიზანია 1989 წლის 9 აპრილის აქციის ფიზიკურად და სულიერად დაზარალებულთა, აგრეთვე 1921 წლის შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული თაობების წარმომადგენელთა და მათი ოჯახების სოციალურ-პოლიტიკური რეაბილიტაცია, საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა, მორალური მხარდაჭერა, მატერიალური დახმარება და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

კავშირის მიზანი მამულიშვილთა და იმედო გვაქვს მთელი ერის თანადგომის.


კავშირი „გაულისვილი“ მისამართი: თბილისი, 380007, მაჩაბლის ქ. № 11, ტელ. 93-99-86.

კავშირი „გაულისვილი“ სახვო



რეზო გვარდიანი

ერთ ეპიზოდს გაგახსენებთ ფილმიდან „ლიმონის ბიჭები“. ბოლო ზარის შემდეგ უკვე „სიმონის ატრესტიკანი“ გოგონა-ბიჭები ხეივანში მოსიერნობენ და ხმაბლად იცინებენ, ვინ ავარონში უნდა გამოვიდეს, ვინ იხივნი, ვინ კიდევ რა... ბოლოს ერთი ამბობს ყველას სათქმელს: ისე უნდა ვიცხოვროთ, ჩვენზე ლეგენდები შეიქმნას... ლეგენდისა რა გითხნათ, თქმით კი უკვე უამრავი იქვე ახალგაზრდა რეჟისორებზე — დათო სისარულიძეზე, ლადო სულაქვიძეზე, რეზო გვარდიანზე, უდროოდ წასულ ლევან ჭყონიასა და დათო თაყაიშვილზე, რომლებმაც ამ ათიოდე წლის წინ ერთად დაამთავრეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და ერთად მოვიდნენ ქართულ მულტიპლიკაციაში. არ მეგულდება კაცი „ბატი ტასიკო“, „ბალთანო ზავრი“, „ბაბილინი“, „მეფე და ჩიტი“ თუ ამ ახალგაზრდების გადაღებული სხვა ნებისმიერი ფილმი უდიდესი სიამოვნებით არ ნახოს. და რადგან მათ, დღეს უკვე პოპულარულმა რეჟისორებმა, ერთად გაიარეს შემეცნებისა და ძიების მეტად რთული გზა, ერთმანეთის თვალწინ ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად და დღესაც ერთად განაგრძობენ შემოქმედებით ცხოვრებას, მე მიჭირს ცალკე გამოვეყო რეზო გვარდიანის — ამ უდაოდ ნიჭიერი, საინტერესო, ღრმად ფილოსოფიური გააზრებისა და ინდივიდუალური ხედვის მქონე შემოქმედის ნამუშევრები და მხოლოდ მათზე, თუნდაც ორიოდ სიტყვით, ვისაუბრო. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ რეჟისორი რეზო გვარდიანი გახლავთ ავტორი ფილმებისა „შუშის კედელი“ (ამ სადიპლომომ ნამუშევარმა 1981 წელს პრიზი დაიმსახურა კიევის ახალგაზრდა ფილმების ფესტივალზე), „მზე და ვარსკვლავები“ („მოსფილმის“ დაკვეთით გადაღებულია 1982 წელს), „მონადირე“ (1985 წელს მოიპოვა პრიზი საუკეთესო დებიუტისათვის ქალაქ ტერნოპოლში გამართულ მულტიფილმების საკავშირო ფესტივალზე), „მანანალა“ (გადაღებულია 1986 წელს. ავტორის თქმით, ეს არის ფილმი, რომელიც თავის გამირს შვავს, რომელსაც ყველა ფესტივალზე ითხოვენ, მაგრამ დღემდე ვერსად მოხვდა. თვითონ რეზოს ყველაზე მეტად თავისი ეს ნამუშევარი მოსწონს, ავტობიოგრაფიული ხასიათისა).



გთხოვთ, დააბრუნეთ ფირი, ის ხომ საპარტველოს სპირიტუალი!

სახლგარეშე ყოფნისას ვიდუკამერა მანუქეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ სულ მალე დაიწყო პატარ-პატარა გამოცდები, რომლებიც მალე დიდ ტალღად აფორდა და ერის პირველი გრანდიოზული თავყრილობა — აბაღრამის მიტინგი მოიტანა. მე ყოველთვის ვთვლიდი (და ვთვლი), რომ ჯერ რეჟისორი ვარ, მაშინაც იმ მიზნით გავწე იპოდრომისაკენ, რომ კამერადან დაგვირეკებოდა ხალხს, მათ სახეებს, ემოციებს, ქესტიკულაციას, ერთი სიტყვით, მე იქ წავიდი არა ინფორმაციისათვის, არამედ იმისთვის, რომ გამომეცადა, რამდენად შეეძლებოდა ცალკეული ხასიათებისა თუ საერთო განწყობის დაფიქსირებას. მაგრამ იქ ყოფნისას შევიგრძენი ის, რაც შემდეგში უფლებას არ მაძლევდა გულმშვიდად შევეთხებინა მარტო „ჩემი საქმე“ და ფირზე არ აღმებეჭდა ქართული

ხალხის ერთგული გამოდევნების პირველი დღეები. ასე გაჩნდა ჩანაწერი ნოემბრის მიმართობაზე. ობიექტივად ვაცქერდებოდი ლეიბებზე მიწოლილი ჩემი თანატოლების სახეებს და სწორედ მაშინ, მათი მხერიდან მთელი სიცილით ვიგრძენი, რა ჯანმრთელია ქართული გენი, მიუხედავად თავისი ტანჯული, მოწამობრივი ცხოვრებისა. იმ დღეებში მე დავინახე, რომ ერთგული მოძრაობა ადგას სწორ გზას, ქართველი ვრი რომ ფიზიკურად დიდ ძალას წარმოადგენდეს და სისხლისმფრეული ომი წარმატების მიღწევა შეეძლოს, მაინც მშვიდობიან გზას ავირჩევდით, ჰეშმარტად ეს გზა არის გზა თავის უფლებებისაკენ. მერე, სულ მალე, აპრილის დღეები დაიწყო. აფხაზეთში დატრიალებულ სისხლისღვრას თბილისში გაფიცვებთან და მიტინგებით გამოიხატებოდნენ. ისევ დასხდნენ მოშიშვლები მთავრობის სასახლის წინ. ეს იყო 4 აპრილი. იმ დღიდან მე და გოგა ხაინდრავა ისევ შევხვდით ერთმანეთს. ყველაფერს ვიღებდით, დილიდან შუალამემდე იქ ვიყავით, როცა ერთი-ორი საათით სახლში შერბენას დავაპირებდით, ერთმანეთს ვუთხანებდით. თუ შემთხვევით ავცდებოდით, წერილებს ქაშუეთის ეკლესიის წინ მდგარ დიდ ხეზე ვკარავდით. ეს ის ერთ-ერთი ხეა, რომელიც სულ მალე, როგორც ყველა დანარჩენ

ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდესი ბუღესი, როდესაც ამ 70 წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვანებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად ასე შეკრულა, ასე მილიანი წარმოადგა ქართველი ერი ღვთის წინაშე. მეგობრებო, ეს წამი არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენს ციურ ძმებს, ჩვენს ახლობლებს, აწ გარდაცვლილებსაც უხარიათ, უხარიათ ცაში ანგელოზებს... და მართლაც, ის წამი იყო უდიდესი ღირსი ქართველად აღბეჭდა. ოთხი საათისათვის სამხედროებმა მანქანების კედელი გაარღვიეს და ჯავშნოსებით წამოვიდნენ. ამ დროს უნივერსიტეტის ვიდეო და ვიდეო ხელკეტები ჩარისკაცების მწყობრს, რომლებიც ჯავშნოსებს მოჰყვებოდნენ. ისევ მომიტინგეებთან დავბრუნდი. გოგამ კინო „რუსთაველი-საქმე“ გადაინაცვლა და იქიდან იღებდა, მე კი მოპირდაპირე მხარეს გადავედი. ამის მერე იმ ღამეს ჩვენ ერთმანეთს ვეღარ შევხვდით. რუსთაველზე ხალხმა კორიდორი გააკეთა და ჯავშნოსები გაატარა. ჩარისკაცებმა ნახევარალყა შემოარტყეს მომიტინგეებს და სიგნალის შემდეგ დაიწყეს დარბევა. ხალხი დაიბნა და ერთმანეთს მიაწყდა. სულისშემოთხვევლ სიფრთვეში აღმოჩნდი. კამერის ხელი ზევით ავიწე და

ლიც მიზნად ისახავს შემეცნებითი სასწავლო-სამეცნიერო სიუჟეტების, სტუდენტური პრობლემების შესახებ მომზადებული მასალების თუ შესვენებებისათვის განკუთვნილი გასართობი პროგრამების გადაცემას. ამ საქმის მოთავეა ინსტიტუტის პრეს-ცენტრი, რომლის აქტიური წევრიცაა ნიკა ჩხეიძე, 20 წლის, სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, მოყვარული ოპერატორი, რომელმაც 9 აპრილს ჩადენილი ბარბაროსობისათვის განაჩენის ტოლი დოკუმენტები გადაიღო.



რომ მოედინდა, სწორედ მაშინ მზე, რაც ისინი, სხვადასხვა კომპლექტი იყო გასწავლილი, აღარ მიხატავს. ბიჭებს რომ არ დავშორებოდი, შეიძლება უფრო მეტად საბოლოო და მეტყველო ფაქტებიც გადავმელო, მაგრამ მე უკვე მარტო ვიყავი და იმ არეულ-დაჩაღლობაში თითქმის მხოლოდ იმას ვაფიქსირებდი, რაც უშუალოდ ჩემს წინ ხდებოდა. მოვახერხე ფირზე აღმებეჭდა მილიციელების მიერ კორიდორის გაკეთება, რომლითაც მოშიშვლები გაიყვანეს და გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინეს. გარდაუვალ სიკვდილს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ კამერამ დააფიქსირა ერთი ასეთი კადრიც: რამდენიმე ჩარისკაცის ხელკეტი ეშვება ერთ მოშიშვლებზე, რომელიც მოცული იყო ვარდისა და მარცხენა ხელის მიწოდებით. შემდეგ მოედანზე შემოდის ტანი და ხალხს მიმოფანტავს. მას-სოგს, რაღაც უცნაური გასროლის ხმა გავიგონე, უფრო სწორად, შიშინი. კამერა იმ ხმისავე მივატრიალე. ფირზე აღიბეჭდა ტანკიდან ამოვარდნილი თეთრი ტანთელისათვის მასა. გოგა ხაინდრავემ ეს მომენტი სხვა წერტილიდან გადაიღო და მის ფირზე გაიღმის ხმა: „ვაიმე, დავიღრჩე, სული შემეფოჭა...“ ექვევარეშე, ეს მოშიშვლები ნივთიერება იყო და მას ტანკებიდან და ჯავშნოსებიდანაც ისროდნენ. ამის შემდეგ ობიექტივი შევაჩერე დაჭრილებით სავსე სასწრაფო დახმარების მანქანაზე, რომელსაც არბევდნენ ჩარისკაცები, და ზოგადად ურტყამდნენ და ლეწავდნენ მცენტს. და აი, სწორედ მაშინ დავინახე იმ ოფიცრის სახე, რომელიც იმ ღამის ოპერაციას მართავდა (მე მგონს, ამ ფირით შეიძლება ოფიცრის პიროვნების დადგენა...) დღემდე ზოგიერთი როდინოვის მსგავსი გენერალი ამტკიცებს, ჩარისკაცები იმ ღამით შეიარაღებულნი არ ყოფილანო. შეიძლება ფირმა იქ დატრიალებული მოვლენები ცოტა ბუნებრივად ასახა. მაგრამ კამერამ ხმები გარკვევით ჩაიწერა: „ხალხს, არაფერი ესროლოთ (გულსინძება ქვები და ჯავშნოსებს ებრძოდნენ), ლუბინკები აღარაქეთ, იარაღი აქეთ, იარაღი...“ აქცა მხატვრის სახლიდან გადაღება კი არა, ფესზე დგომაც უშუალოდ ვიხილე ვახს, მე გადავირბინე ქაშუეთის ეკლესიის მხარეს და ქაშუეთის დასაწყისში მდგარი საბარგო მანქანის ძარაზე ავიყვი. იქ სხვებიც იყვნენ, მათ შორის ქალბერიც, რომლებიც სინალოის შიშით ვერ გადახტნენ და გაქცივით ვერ უშველეს თავს. უცბად შევიწმენე, მრავალ ჩარისკაცი მოძვრებოდა. კამერა სასწრაფოდ ზურგს უკან დავმალე, თუცა არ გამომჩინავს. — „სიდეთს!“ — გვიბრძანა და ხელკეტი მოგვიღერა. დავიწყე ფაქტი იმაზე, როგორ გადავტრინა კამერა (ის ხომ ინსტიტუტში მომანდო) და ჩანაწერები, გადავწყვიტე როგორმე ვინმესთვის გადავწოდებინა. ძარიდან ძირს გადავთვიხე. მანქანის ირგვლივ მარტო ჩარისკაცები ირეოდნენ. ჩემი მოქმედება არ გამოპარია ძარავაზე ამომძვრო მეორე ჩარისკაცს. პირველი იქ მყოფი მუხბრუნდა, ალესილი ნიჩბი მოუღერა და უბრძანა: „სიდეთს!“ მეორე მომიხატოვდა და ჩვენ შორის ასეთი „დილოგი“ გაიმართა (კახტაზე ყველაფერი გარკვევით ასმის): — «Камеру вытаскивай». — «Какую камеру?». — «Отдай камеру, а — то рубить буду, рубить буду, я сказал». — «Нет у меня никакой камеры». — Я таких, как ты, в Афгане травил. ამ სიტყვებით ნიჩბი მომიქინია. მე ინსტიტუტურად ხელში თავისკენ წავიღე. მეორე მომეარდა, კამერა ხელიდან გამომგლიჯა და მოისროლა. მეორე ყველანი ხელკეტების ცემათ ძირს გადავგვარა... მე კაცობრივად ქაშისაკენ ვიყვი. უცბად გაიფიქრა, რომ კამერა, ჩარისკაცმა მანქანიდან რომ მოისროლა, სადაც იქვე უნდა გადებულყოფ და უკან ამოვირბინე. მთავრობილი ჩარისკაცების ნაწილს შორის, რომლებიც ქაშისა და სასახლისაკენ ამოდიოდნენ, ალბათ ისინიც დახმარებები იყვნენ.

ჰინ იღვა კამერის მიღვა

შარშან, ზაფხულში, საბჭოთა კინოს დღისთვის მახლდა უნდა მომეშვადნებინა. გადავწყვიტე, ხალხგადოებისათვის უფრო ახლოს ვამეცნო ეკა ბეგინაშვილისა და ნათია შაშვილიშვილის ხანგალობის პრინციპით დაჯილდოებული ახალგაზრდა ოპერატორი გიორგი ხაინდრავა, რომელმაც 9 აპრილის შემდეგ მთელი საქართველო ალაპარაკა. და აი, როდესაც ჩვენი საუბარი იმ ტრაგიკულ დამეს შედეგს, გოგამ შემდეგი რამ მით-

ხრა: ჩემს გარდა იქ იყო ორი ადამიანი, რომლებმაც ფასდაუდებელი მასალა გადაიღეს, მაგრამ მათი სახელი საზოგადოებაში არ იცნოს... სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზის გამო, ინტერვიუ წლის გამორჩეულ კინოხელოვანთან შარშან არ დაიბეჭდა და ჩვენმა თანამემამულეებმაც ვერაფერი შეიტყვეს იმ ახალგაზრდების შესახებ, ვინც 9 აპრილს კამერის მიღვა იღვნენ.

რამ გადაპარინა?

— მაშინ აფხაზეთის ამბებს ერთ-ერთი პირველი ჩვენი ინსტიტუტი გამოიხატა. 4 აპრილს მოეწყო მოზრდილი მიტინგი, რომელიც გადაიზარდა მანიფესტაციად. მომიტინგეები სამედიცინო ინსტიტუტიდან წავიდნენ მთავრობის სასახლისაკენ. აქ სხვა გაფიცულებს შეუერთდნენ და დაიწყეს შიმშილის აქცია. მთელი ეს შევლომა ჩვენი ტელესტუდისათვის გადავიღე ფირზე (კამერა მომაც სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატშია, რომელიც 9 აპრილს დაიკარგა. 8 აპრილს ჩემს სამ მეგობართან ერთად გავწე მთავრობის სასახლისაკენ. ყველამ ვიცოდით, რომ ქალაქი ტანკებისა და ჩარის ნაწილების ალყაში იყო. მოედანზე ხალხს სულ უფრო და უფრო მატულობდა. შუალამისას იქ თითქოს მთელმა საქართველომ მოიყარა თავი. მე ვიღებდი სიტუაციას, ჩემი მეგობრები კი მენბარებოდნენ — ცდილობდნენ იმ სიფრთვეში პატარა დისტანცია შექმნათ ხალხსა და ჩემს შორის, რომ თავისუფლად გადავმელო, თან მითითებდნენ საით მიმეტრიალებინა კამერა, რომ საინტერესო მომენტები არ გამომჩინებოდა. როდესაც ლენინის მოედნიდან წამოვიდნენ ჯავშნოსები, რომლებმაც ჩარისკაცები მოსდევდნენ, მხატვრის სახლიდან მოვხვდი და იქიდან ვავაგრძელე მოვლენების დაფიქსირება. მერე ჩარისკაცები მომიტინგეებსაც და მოშიშვლებს ხელკეტებით დაერივნენ. კამერამ გარკვევით ჩაიწერა ჩვენების გაოგებული ხმა და ის სიტყვები, რომლებიც ისინი ჯალათებს მიმართავდნენ იმ საშინელ წუთებში: „ჩვენ და თქვენ ხომ ძმები ვართ, რას სინადით, რას გვერჩით, რატომ გვცემთ, ჩვენ ხომ ვმღებოთ, გვეკვავთ, რა გინდათ ჩვენგან...“ ყველა კუთხიდან წამოსულ ამ კითხვას მოჰყვება ერთიანი შეძახილი: „სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო!“ ამ დრომდე ჩემი მეგობრები ჩემს გვერდით იდგნენ და, არ გადავპარებებ, მითავდნენ. ჩვენს წინ დაჭრილი დაცვა. ბიჭები მისკენ გაიქცნენ. ოთხივეს თეთრი ხალათები გვეცვა, ამიტომ მათ არავინ გადავლოდა. გადავიღე, როგორ გამოჰყავთ ბიჭებს დაქ-

ნი, ალესილი ნიჩბებით დაიხეხა... 8-ში უკვე ყველამ ვიცოდით, რომ ქალაქს გარს ტანკები და ჩარის ნაწილები ერტყა. მოედანზე ხალხი წამი-წამს მრავლდებოდა. დღე ჩვენებმა მთავრობის სახლიდან მიმდებარე ყველა ქუჩა მანქანებით ჩაიხურეს; მოაწია მუალამემ. სულ ახლოს ისმოდა ტანკების გუგუნე. მე მიმსტრია საბჭოს მხარეს ვიდექი. ჩაინაცვლე ლენინის მოედანზე და გადავიღე, როგორ ემზადებოდნენ ტანკები და ჩარისკაცები დასარბევად. რეალური საფრთხე მაშინ ვგრძენი. მოშიშვლებთან დავბრუნდი. მოვიდა უშმინდესი და უნეტარესი ოლია მეორე და თავის სულელო შვილებს დაშლისაკენ მოუწოდა, მაგრამ ხალხმა არ დაუჯერა. მათ უკვე ფიცი ჰქონდათ დაღებული, რომ არ დაიშლებოდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველას სათელი ეჭირა. კამერა სახლის შუქით განათებულ სახეებს მივუახლოვე. ყველა ლოცულობდა. შავი ში ავი წინათვრძობდა ტრიალებდა. ეს იყო ვანწყინდილი ხალხი, რომელიც მზად იყო ერის საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლე გაელო მსხვერპლად. პანორამით გადავიხაცვლე უშმინდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პატრიარქის სახეზე. მე ვხანე მწყემსი, რომელსაც სამწყსომ არ დაუჯერა. ობიექტივში უშმინდესის ტრემოვანი თვალები ჩანდა... იმ წუთებში საბოლოოდ დავერწმუნდი, რომ საშინლად ვავგისწორებდობდნენ... კადრი გაუჭინდა: ზვიან. გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი და სხვები... ირაკლი წერეთელმა ხალხს მიმართა: — მეგობრებო, არავითარ პროკაციას არ წამოვგოთ. დღეს მთელი ქართველი ერი დგას დიდ ძალის წინაშე, მაგრამ თუ ჩვენს წინაშე განსაცდელია, ჩვენ უკვე მოვედით დიდგორთან და დიდგორიდან უკან დახევა, ძმებო, არ შეიძლება. ჩვენ ვითხოვთ ჩვენს სამართლიან მოთხოვნებს, ძმებო, და თუ განსაცდელია, სხაზოლით შევხვდით განსაცდელს. ქართველებს არ გვჩვევია შიში“... ირაკლი წერეთელი მერაბ კოსტავამ შეცვალა: „მამულოშვილო, ძმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და

სანამ ვახერხებდი, ვიღებდი. ერთმა ჩარისკაცმა თავგანწირულად გამოარღვია ერთმანეთზე არსული ადამიანები და მიკრძო ჩამებლაუქა. მიუხედავად, შემჩვეული ვიყავი. ვერაფრით ვერ გავითავისუფლე თავი. ამ ჯავშურში ჩარისკაცი დაცვა, მაგრამ ახლა ფეხებში ჩამევიდა. შემიხებულ ხალხს მასზე გადავბოღა, ის კი ხელლებს უფრო და უფრო მიჭერდა. მაშინ გადავწყვიტე კამერა და კასეტები ვინმესთვის გადავმეცა, და ასე გადავტრინა ის კადრები, სადაც ქართველი ერის სიმართლის დაზარალებული ფაქტები და კათალიკოს-პატრიარქი იყო აღბეჭდილი. ჩემს წინ მილიციელთა ჯაჭვი იდგა, რომელიც ხალხს იცავდა, მინისტრთა საბჭოს ეზოში რომ არ შევარდნილიყო, რადგან მათ უკან ავტომატომარტველები ჩარისკაცები ვანლაგებულნიდნენ. როგორც იქნა, მათ ხმა მივაწვდინე. სწორედ მაშინ მილიციელებს გამოეყო ქართველი მაიორი და სიტყვებით — „რაო, რა მაქსო, მასალაო“, — ჩარისკაცებისაკენ წათრევა დაძობირა. მე შევეცადე, მას ხელიდან დაგსტოლოდი. ჩემს გვერდით მყოფნი დამეხმარნენ და როგორც იქნა, თავი ვავითავისუფლე. უცბად ხალხში შევამჩნიე კაცი სამოქალაქო ტანსაცმელში (საუბედუროდ, ისევ ქართველი), რომელმაც ჩემსკენ გამოარღვია ნაკადი, ისარგებლა იმით, რომ ვერ შევწყნარებდით და გულსინძიდან ამომიბაცლა კასეტა. სადაც აღბეჭდილი იყო იმ საღამოს დიდი ნაწილი რბენის დაწყებამდე. მერე ვიგრძენი ხელკეტების დარტყმით გამოწვეული ტკივილი და როგორ აღმოვჩნდი სასწრაფო დახმარების მანქანაში, აღარ მახსოვს... ჩემთვის 9 აპრილი არის 20 წლისა და სატი, რომელიც გავცინათ და შეგვიძლება თავისუფალ საქართველოში. ეს არის ხატო, რომელიც დავციცავს და დავავაგრძელებ ჩვენს ბოროტებას, ხატო, რომლისთვის ანთებული სათელი არასდროს ჩაქრება.

ნიკა ჩხეიძე


თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში არც თუ დიდი ხანია ჩამოყალიბდა სტუდენტური ტელესტუდია, რომე-



თანაგრძობა

ვუზნ, 9 აპრილს, რედაქციასი დღეებში მოვიდა, რომლითაც თანაგრძობის ცვლილებებს ტრავმული მოვლენების წლისთვის გამო, მრავალჯერული საქართველოს ზეარკად შეურყეველი წყლების გამო ჩვენთან ერთად ზიანს თავს დაღუპულია ზიანის წინაშე, სტუდენტები პერმოდან — 0. აკოვია, 0. არტურია, ანი, 0. კანელია, კინია, 0. ნაცვლი, ჯავრდოვსიდან — შერბიანაძე, სოფელია, გინაძის, წყურბი; ზღვიპრეთის მხარდან — ქრთული ქრისციცი; კრასნიარსკედან — ალდენქშილი ქართული ერთობის საინიციატივო ცენტრის წევრები — საატა მახათაძე, ამირან ლინდძე, ბერუ მადრიძე.

● სამი თვისი მისჯილი შედეგო ტრავმული მოვლენების ადგილი ზეურჩინის ჩაიონის ხარდაღანის ცვლილებითა ხსებული პერიოდაშიდან მისიხულმა დღედაცამ. მთავე მართებს გუშინ 9 აპრილს დინდში.




თბილისი. 1990 წლის 9 აპრილი



ვაიხლინ? უშუდები განაღებზე სულს დრან მრთობებინ? გავრეზა გავრეზებას არ წინაშე დამბული დამბული წერეფს აა დაშუდებზე, თუ მის ფე ზეურჩი ტრავმაც გრთობს?
 9 აპრილს დამბოი და 9 აპრილს განთავადების თოსობიო აფაზანი მიწე ცადა იმბა, რომ ცრთო წლის წინ რუსთაველზე გავრეზული უმბის დრან, ისე მომწმედზე. ამიტომ იყო, რომ ირ მოღვათამდე მოქალაქის ცვლავ





ამბობენ, ცოტას ეძინაო იმ ღამეს... სამართაველად, რამეთუ შვილი, და თუ შმა, ახლო მეგობარი რუსთაველზე, მთავრობის სასახლესთან ეგულდებოდა ყველას.

იმასაც ამბობენ, სისხლის ფერი იყო ცისკრის ვარსკვლავი იმ ღამის... მოშიშვნილებთან ახლოს ოთხი უსინათლო გოგონა დგას და მღერის: „დავიღლები საქართველოს სიყვარულში...“ ათასობით ცრემლიანი თვალი მათკენ არის მიმართული.

მეტროდან ამოვალენ თუ არა, მაშინვე ამჩნევენ გამგლელები. სინჯაღობით ეგებებიან, გზას უთმობენ. ხვალ საღამოსაც მოდიოთ, სთხოვენ.

ესენი თავისუფალი საქართველოს შიშვენილი ნიშნები, ხალხო! — ტრიალებიდან აღფრთოვანებული მიმართავს შეკრებილებს ერთგულული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

არც ერთი არ ხედავს სამშობლოს ღამაშ სანახებს, მის ფირფიტისფერ ცას. სათაყვანებელი საქართველოს ხატება თვითუფლს თავისებურად ესახება, მაგრამ სიყვარულით ყველას ერთნაირად ელოვით სიყვარულით უყვარს.

„ცა იცნო სიმღერამ და ფრთები მამულს, იმდენი სინათლე ჰქონია, თვალებში შეგხედეს უსინათლოებმა“, — დაწერს შემდეგ პოეტი.

თინათინ ბიჩვაძე, ზაირა გელაშვილი, დონატა ცხალიაშვილი, ლელა ვეფხვაძე — ესენი არიან ასე ღამაშად რომ წარმოაჩინეს ქართული სული, ასე რომ შესძრეს ჩვენი გულელები. სხვანაირი ხეგლი არ გუხნათ ბედმა, მაგრამ ამას არ გაუბოროტებია ისინი. დედა, სათბო და კეთილმა მასწავლებლებმა, საქართველომ გაზარდეს ასეთებდა.

თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში აინთო მათი ცოდნის ღამაში. თინათინი, ამას გარდა, თბილისის მე-10 საშუალო სასწავლებელში, ხოლო ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლობდა.

დამთავრებული აქვს კონსერვატორია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურბანისტიკის ფაკულტეტი. მუშაობს ფონიჭლის საქალაქო კულტურის სახლში ბავშვთა ვოკალური წრის აკომპანიატორად, სიმღერის მასწავლებელია უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში, ამ სკოლაშივე ხელმძღვანელობს ქართული ხალხური საკრავების ვოკალურ ჯგუფს.

ზაირა და ლელა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მუსიკალური გაერთიანების საჯარო კონცერტების მსახიობები არიან. ლელა შესანიშნავად არის დაუფლებული

ლი ფანდურსა და სალამურზე დაკრის ხელოვნებას. ქართული ხალხური საკრავების წრეს ხელმძღვანელობს გარდაბნის რაიონის სოფელ „ახალი სამგორის“ კულტურის სახლში.

დონატა მუსიკალურ-საინჟინერო გაერთიანების ვოკალური ანსამბლის — „ლილიუს“ სოლისტია. ოთხივეს დედობის შარავანდედი ამშვენიებს.



— დამოუკიდებელ საქართველოში იცხოვრებენ ჩვენი შვილები, — ამბობს თინათინი და ამით ქართველი დედების შეუვალ ნებას გამოხატავს. ეტყობა, იმდენს ძლიერი ფრთები შეუსწამს, რაი ამ ბინდისფერ სამყაროში შეუღწევი.

— შარხანდელი ნოემბრიდან მოყოლებული ხელ დაგიფარე შიტინებზე, მეტწილად დღის მეორე ნახევარში, ხამუშოდან თავისუფალ დროს. სხვების მსგავსად უსინათლო საზოგადოებიდან: ცირა, ნანა, ამირანი, რევაზი...

ნოემბრის იმ დაუფიქრებელ დღეებში საქართველოს ზვარაკად თავდადებული უსინათლოებიც უთყვენ ღამეს მთავრობის სასახლის კიბეებთან.

ქვედასკლის შეუვალმა განმეებელმა არ ისინია კეთილი ანგელოზების მულა — 9 აპრილის ზარი ჩამოქრა. წინა დღეს რაინის ურჩხულებმა გადაირასრხეს დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, თბილისის შემოგარენში ჩადგურტანი ჯარისკაცები გამოჩნდნენ.

— შაბათი იყო, შინიდან არ ვაპირებდით გამოვხვდამ, მაგრამ მეზობელმა ამბავი მოიტანა, რუსთაველის პროსპექტი ხავხავ ხალხით, მოშიშვნილთა დარბევა მოხლოდნენ და ამიტომ მთელი თბილისი ახლა მათთან არისო.

სადამონ რეზო ჩიქოძის გამოხვლავს მოვუხსნინეთ, ისე შემოვთვალე ლამაზად მოშიშვნილთა მოხა-

ლოდნელი დარბევის შეხახებ, მეზობლის მიერ მოტანილი ამბავი ხარწუნო ვეჩვენა. ყოველ დღე მათთან ვიყავით და განხატვლის ეამხ როგორ მივატოვებდით — ამბობს თინათინი.

სისხლისფერი დროების ფრიალი ახსოვს ამ მოდინს, მქუხარე ტაში და ოვაციები, აბსურდული, მყვირალა ლოზუნგები... დღეს კი სულ სხვა ხმები გაისმის ამ შემოგარენში, სხვა ლოზუნგები გამოუტანიით, სულ სხვანაირი დროები — სამფერაბი, შეგთეთრევი თელი და შინდისფერი, გველვშაბის მძლეველი წმინდა გიორგის გამოსახულებით. ჩვენ საბჭოთა კავშირს ვუკმევდით გუნდურკს, ესენი დამოუკიდებელ საქართველოს ითხოვენ. ერთი კვირა, რაც შიშვლოდნენ. თვალემა ჩაშვებებით, დასუსტებულები საფეხურებზე მიწოლილან, სახეზე ტანჯვა ესახებათ, ძლიერ ამობრავებენ დამაშრულ ბავშვებს.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია...“ — იფრფლეს პაერთში მათი ხმა. გამთენიის ეამს მწუხარებით დახარა ზეცამ თვალეზე, ცრემლი დააკურა მისკენ თვალაპყრობილ ხალხს მსასოფარს.

„რა ღამე იყო, საოცარი აპრილის ღამე, წამოწინწკლა და ჩვენ ერთმანეთს ნამს ვარიდებდით და არ ვიცოდით, რომ სატანა გვითვლიდა წამებს, რომ ქართულ ზეცას ეხვევოდა შავი ბინდები.“

გაისხენებს შემდეგ ცირა ვეფხვაძე, უსინათლო პოეტი გოგონა, მრავალი ღამაში ლექსის ავტორი. — წვიმა რომ წამოვიდა, ბიჭებმა ცელოვნები ვადაგვაფარეს, ფანდური არ დაგვისვედდეთ, გოგონებო. ცირა, რეზო და ამირანი ლექსებს წაკითხვას აპირებდნენ. ჩვენ ქართველი დედების სახელით წერილი მივიღეთ, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ამღერეთ.

„შემდეგ უნეტარესი მოვიდა. ნელა იწვოდა სანთელი. ხალხი ხელაპყრობილი ავედრებდა ღმერთს საქართველოს. უცებ თითქოს ჯაღიქარმა კვერხხი მოაქნიათ, განთადი გადაიქცა ბართლომეს ღამედ.“

— ტანკები რომ წამოვიდნენ, ღამა ახათიანის „დაუქართო“ დავიწყეთ. — ზვიადის ხმა მომწვდა, უსინათლოებს მიხედვით. ფანდური გულში ჩავიხურე ვილაქამ ამიყვანა და ხელში ატაბებდით გამიყვანა სამშვიდობოხ... — ისხენებს დონატა.

სიკვილის დამორგუნველი სიმღერის ამბავი ლეგენდასავით მოედო მთელ საქართველოს. მისი შემსრულებლები თბილისელებმა მრავალჯერ იხილეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოწყობილ საღამოებზე, რომელიც 9 აპრილს მიეძღვნა. ეს იყო „ენა, მამულო, სარწმუნოება“, „ხეივანე გარკული ლექსები“, „ჩვენ ბრალვებობ“, აგრეთვე სპორტის სასახლეში გამართული „შეწყვეტილი სიმღერა“.

ფილარმონიის მსახიობებთან ერთად ისინი იყვნენ თელავში, ტყიბულში, ბათუმში... განსაკუთრებით ტყვილიანი და ამაღლებული იყო შეხვედრა თელაველებთან. დარბაზში იმყოფებოდნენ 9 აპრილს დაღუპული, სამშობლოს სამსხვერპლები ზვარაკად შეწირული შალვა ქვასროლაშვილის მეუღლე და შვილები:

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

ნანა ხაჭაპია, უსინათლოთა საზოგადოების უფროსი „სინათლის“ თანამშრომელი

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

306 ივანე პაპურის კვლევა

(დახასტული)

ნენ, ან თერთი ჩალოთი დაინდეს, არავის შეგუჩრებივარ. ჩემი კამერა მართლაც საბარგო მანქანათან ეგდო, ჯარისკაცების ფხენთან და მე ის ვერ ავიღე...

მერე, როცა ბატონმა ელდარ შენგულიამ საქართველოს ტევენებით ვეჩვენა, რა ფირიც ანახა მოსკოვში, მე ჩემი გადაღებული კადრები ვიცანი. ასე შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ჩემი კამერა უპოვნია თბილისელ არამ მარტუტისს, რომელსაც ბატონ ელდარისთვის გადაუცია.

... როდესაც მეკითხებთან, როგორ ვადარბიო, მაშინვე მოაკლებენ — ალბათ ეჭობის ხალაოთმა ვისხნოა. შეიძლება ნაწილობრივ ესეც იყოს, მაგრამ მე მწამს, იმ ღამეს უწმინდისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა წამოხვეოდა. მე და ის ჩემი მეგობრები, წვდან რომ ვახსენებ, 9 აპრილამდე ორი დღით აღდე კათალიკოპატრიარქთან ვიყავით, მოკლე ინტერვიუ ვეწიღე ჩავვიწერა ჩვენი სინსტიტუტო რე-

ლესტულისთვის. კათალიკოსპატრიარქს არ ვცალა, მაგრამ ორი წუთით მინც მივგოთ, საითთოდ დაგვილოცა და ჩვენი თავი დმერთს შეავედრა. აი, რამ გადამარჩინა.

გიორგი ხინდღრაპა

(დაუბეჭდავი ინტერვიუდან)

— არის კიდევ ერთი ადამიანის მიერ გადაღებული ფირი, სამწუხაროდ (იქნებ სახედიეროდაც), მისი პიროვნება დაუდგენელია. ეს იყო კაცი, რომელსაც უნიკალური საშუალება ჰქონდა გადაეღო აბსოლუტურად ყველაფერი, რადგან მხატვრის სახლში იმყოფებოდა და მას არანაირი საშიშროება არ ექმუნებოდა. იგი აშკარად არიდებს ობიექტის ყველაზე მეტყველ ფაქტებს. არადა, ერთადერთს მას შეეძლო აღეგნა დაწერილობით ის, რასაც ხალხი ჩვენგან მოითხოვს — ჩვენის ეპიზოდებს, მაგრამ მან საკუთარი სურვილით განაცხადა უარი დახმარებოდა ქართველ ერს სამართლიან ბრძოლაში...

6060 კლარჯიშვილი

რატომ?

მე ახლა სიმფრის ცრემლი მხარხობს, გაუნელებელი ბოღმა მელაყს, დარდი სულს მიდავავს მხუთავი ვაზივით, ტკივილი გულს მისურავს ორღუსური ბარივით, ხაკისფერი ეამი ჩამდგომია თვალეებში...

სად ვიყავი მაშინ, იმ ღამეს? რატომ მეძინა თბილ ქვეშავეებში, როცა თქვენ ცივ ასვალტზე ისხედით; რატომ მედო თავი რბილ ბალიშზე, როცა თქვენ თავგაბაბიონი ეყარენით ქვაფენილზე; რატომ ვგედავდი ტკბილ სიზმრებს საქართველოზე, როცა თქვენ კომპარული რეალობა გკლავდათ; რატომ მიმდიდიოდა სისხლი ჩემში მდორედ, როცა თქვენი სისხლი ნაკალულებად იღვრებოდა; რატომ?

ღმერთო, სად ვიყავი მაშინ, როცა თქვენ ლოკულობდით, უფალს ავედრებდით ბედღურულ საქართველოს; სად გავექცი ახლა სირცხვილს? რატომ ვარ ახლა აქ, თქვენ კი, ცივ მიწაში ჩასვენებულად, მთელი საქართველო მოგტრიათ; რად მიქარავს თქვენს საფლავეზე შავარძია შემოვლელი დროშა; რატომ?!

ვინ უნდა იწვევს მანდ? რატომ თქვენ, საქართველოს მომავალი დედები და არა მე, მამა და პაპა? თქვენ მოდიოდით და მე, მიმავალს შემომწირით თავი; რატომ? რა ვთქვა, რითა ვიმართლო თავი საკუთარი ნამუსის, კაცობის წინაშე? რატომ თქვენ და არა მე?!

რა ძვირი დაგიჯდათ ჩემი ვადიძება, რა ძვირი დაგიჯდათ ჩემი ძილაქში, ჩემი პატარებო. რატომ ავთ პასუხი ჩემს მაგიერად, რატომ მიმჭეკრათ თავი? მე ხომ სიკვდილამდე ვამყვება დარდი, რომ მაშინ იქ, თქვენთან ერთად, არ ვიყავი, რომ ვერ დაგიფარეთ მომხდურისაგან, რომ შეგატოვეთ მოძალადეს... როგორ გაიღეთ თქვენ საჩემო სისხლი, როგორ ვადადეთ თავი ოტენესავით...

მე აღარ მიძნავს, მე ახლა ორმაგი ღვიძილათ ვფხიზლობ, მაგრამ რაღა დროს! ამბობენ, მამები შვილებს ასწავლიანო... შვილებსაგან უნდა ვისწავლოთ ახლა სამშობლოს სიყვარული...

დემურ აბუსარაშვილი

„ჩემო კარგო ქვეყანავ...“

სიმღერა სულის ცრემლიაო, — უთქვამს დიდ ილიას. მართლაც, სიმღერა ქართული სულის გამოხატულება, მისი გამოძახილია.

მაგრამ ცრემლი? ცრემლი რა სახეივებელია ქართველთან. იგი მას მტერს არ დაახებებს, მჭილს უსიტყვოდ ჩაიცივს გულში, ყულში მომდგარ უსასობისა და შეუხარების ბუროსაც ჩუმად გადაყლავავს, რადგან იცის: „მტერი არ შეგვიბრალევენ იბილითა და ვიშითა“.

სახლები (თუ ნასახლარები?!) ბუხარში ცეცხლი მინაგლებულა. ტაბატი ირწვივა მტრის ხელს ვადარჩენილი აკვანი, გარეთ — დანთხელი სისხლი, დამსხვრეული აკვნები, აჩეხილი ვაზი, ტანდამწვარი ნამხებარი ხეები, ზოგან სისხლის ფუტუც აღარ ჩანს, არავინ სულიერო... ამ დროს ყრუდ გაისმის გოდება შოასანი დედაქალაქისა, ვაი დედსაა — მხოლოდ ის ვადარჩია და ახლა ვადარსებული უნდა იცოცხლოს. და ისევე სიმღერა, ამ გულისშემძვრელი სანახაობის გამოშახებები, უცნაური და იღუმალი.

...ანდა ვაქაცურე აღნაგობის შავჩოხოსანი. ცხენზე ამხედრებულა. ხელში — ფოლადისმკვეთელი ჯავარდენი. სახე — მტრის რისხვა. არ ეპებება უთანასწორო ბრძოლებს და შავ ჩოხას სისხლში ღე-

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

და ასე არ წყდება სიმღერა, სიმღერა, რომელსაც ისინი მღეროდნენ...

მოდიოდა. უმკლავდებოდნენ, მამულისათვის ღალატს არავის ავატიებდნენ, არასოდეს ჰქონიათ მახვილი ზურგში დადევნებულნი. ცხრა ვაქაცის ხელში გამოვლილი დროშა დედას უბრუნდებოდა, მაგრამ დახატული შვილთა დარდს მტერზე გამარჯვების იმედით იქარებდა მულამ: „რაღა მიჭირდა თუ მტრისას ვაქლეტას ვავიგონებდი“.

ამ სულისკვეთებით ზრდიდნენ დედები შვილებს.


იმითაც მოვალეობით დღევანდლამდე, რომ ქართველმა კარგად იცოდა, როდის უნდა ამოელო მახვილი და როდის უნდა მოეთინა. უძველესმა ერმა, რომლისთვისაც სამშობლოს ხატი და ქრისტეს რჯული იყო და არის უპირველესი

შპრანიელთა თანადგოვა

სახალსო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე 9 აპრილის ტრაველი-ის საკითხის განხილვისას საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გივი გუმბარიძისთვის უკრანელ დეპუტატებს გადაუციათ ბარათი: „ძვირფასო ახლ. გუმბარიძე! უკრანის დეპუტატთა კლუბი ყრილობის მუშაობის ამ დრამატულ მომენტში სოლიდარობას უცხადებს ქართველ ხალხს. ჩვენ — თქვენთან ვართ!“. ბარათს ხელს აწერს 20-ზე მეტი დეპუტატი, მათ შორის — შვერდუბი: ვ. იავოროვსკი, დ. პავლიკო, ო. გონჩარი, ი. შჩერბაკი, ვ. კოროტინი, რ. ბრატუნე. ისინი ჩვენნი ძველი მეგობრები არიან, ბევრჯერ სწევდნან თბილისს, საქართველოს მრავალი კუთხე მოუვლიათ. ჩვენს გასაჭირს დაუმწყობრებიათ და დღესასწაულს გაუხარებიათ. ამის მკაფიო გამოხატულება ქართულ თემზე შექმნილი მათი ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები. ზოგი

ამ ნაწარმოებთაგანი ითარგმნა კი-დეც ქართულად. მკითხველი იოლად მიმიხვდება, რას ნიშნავდა უკრანელთა თანადგომის ბარათი იმ კაცისთვის, ვინც ორი ათეული წელი შეალია უკრანული ლიტერატურის თარგმნის საქმეს. ვოლოდიმირ იავოროვსკის (მან დაწერა ბარათი და ხელმოსაწერად გადასცა დეპუტატებს) სამადლობელი წერილი გავუგზავნე. გამოხდა ზანი და მისგან ეს ოთხი ფოტო მივიღე. ფოტოებზე ის მრავალათასიანი მიტინგია ასახული, რომელიც 9 აპრილის ტრაველიის ორმოცი დღის თავზე უდნაშუალოდ დაღუპულთა პატივსაცემად გამართულა ქ. კიევში ტარას შეგჩენკოს ძეგლთან, მისივე სახელობა პარკში. ეს მიტინგი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ თანადგომისა, რაც ოდითგან არსებობდა ქართველებსა და უკრანელებს შორის.

ჯაბა ასათიანი



წუ, ქართველებო!

წუ ქართველებო!.. მტერი გააღებს, — მტერი აშარი — სუნთქვის დამშლელი, ყველა კოშკი და ციხე-ტაძარი, გაქვს საკუთარი სისხლით ნაშენი. ცად აგიშვია ნისლის აფრები, თუ გალობ — ტანჯულ ლერწმის ლერწმით, მწარე სიმართლით, ტკბილი ზღაპრებით შენ ხარ მამული მოსაფრები. სალოცავი ხარ შეუბღალავი, შენთვის ვგნებთებით წმინდა სანთლებად, შენთვის უმანკოდ შეწირულ კრავებს დიდი სიცოცხლით აქვთ გამართლება. წუ შეძრწუნდები — ღმერთი დიდაი.. ცის იმედს არც როს გაუწირიხარ — თუმც სამყაროში მარგალიტივით ობოლი ხარ და...მართლაც მწირი ხარ... უნდა იცოცხო და იყვავილო სიცოცხლის მადლის მგობთა ჭინაზე, — შენი სიცოცხლე ისე დიდა — არ დაიდება სასწვრის პინაზე. თქვი მრავალ შეილთა მრავალკამიერ, თქვი ამირანზე — მთებით მგრავინაზე, — ვინც გოლოგოთაზე ასულა შენთვის, გასაჩიბრებია უშუქით მბრწყინავ მზეს. კურთხეულ იყოს აწ და მარადის — ლომ-ვეფხვთა ბუდე, არწივთ საუფლო, — ტკბილ საქართველოს ღმერთი.

ჯვარავლეს — ვინც ვაჟს ენით მასთან საუბრობს.

ზეცა ყოველთვის გვიხველის

სიცოცხლით აყვავილებულ ჩვენს წმინდა, მზიან მხარეში ბეგრჯირ ყოფილა მძინვარე გამბრწუნელ სიკვდილის თარეში.. ურთიერთ მტრობა ყოფილა ყველა სიავის მიზეზი, დამკნარა ბეგრი ყვავილი — მზის შვილი — უფაჩხესი. ცას უშველია მარტოდენ, ზეცა ყოველთვის გვიშვილის, — ცრემლით როს მშველელს ნატრობდნენ — შეუჯავშნივართ შიშველნი, ყოვლად მართალი, მოწყალე, — მადლით დაგვიყურებს მშობელი, მისით ვართ მარად ცოცხალი, თუმც გმტანჯავს სუთისოფელი, სანატრელია სიწმინდე, რომ ღვთისა ვიყავთ ბოლომდის, მით, ისაიას ლოცვამან, მტერი დაამხო ბოროტი. გსმენიათ სენაქერიმი ორასიათას მხედრითა, ღვთის ქალაქს ემუქრებოდა, — ღვთის შვილთ სისუსტეს ვგვიდრიდა.. რა ექნათ ხელგებშიშველთა, შეწუხებულებს ხედრითა?! ამ დროს მორწმუნეთ თვალები ზეცისკენ აიხედვიდა. გალღებულნი ვიდოდა მტერი საქურვლის ზრიალით, მადლით კი ცეცხლის მხედარი დამპყრდათ ცეცხლის ხმლიანი; ერთ წამზე ჩამოუფრინდა დაბანაკებულთ ველზედა, —

სხვის სატირებლად მიმავლთ — ცრემლი აღინა ცრემლზედა. — მარტოდა ნამი ბრწყინავდა დილით აღმასის ფერზედა.. რაც იმათ უყო უფალმან, ის ბრძანოს ქართველთ მტერზედა!.. წუ შეშინდებით — იმედი. ყველაზე დიდი ფარია, ჯერ საქართველოს სისხლის მსმელს არავის გაუხარია, ილოცვთ, ჩვენთან ღმერთთა ორივე სოფლის დიდება — არცა სიცოცხლე დაგვტანჯავს, არც სიკვდილ გაგვტყობდებ; დიდება შენდა უფალო! სიცოცხლე — შენდა დიდება!.. შენით ვართ — სული და გული მარტო შენითა მშვიდდებთ. 1989 წ. 14 აპრილი

გადმეარია ღრუბელი...

გადმეარია ღრუბელი მძიმე შავ-შავი ფერისა, ის არ დაეძვბა, შენ რას სტირ, თავის სიმღერას მღერისა.. ნუთუ ეგაა ნიშანი უგრძობელ ბედისწერისა?! ვერაფერს აკლებ, არადა, ღონეც აღარ გაქვს ცქერისა. ამოხმურდი გრივალთ, მტერსა თავს დაეც ზარია, მართალთა გულისწყრომისა, სხვაც ბეგრი გაუზხარია, — გადააცილე მთებს იქით, იქნებ ჩამოდგეს დარია, — კვლავ გაგვახაროს ღვთის მადლმა, აღრე რო გაგვიხარია!..

მთავარანისკოვოსი თადე-ოზი იხივე მირიან იორა-ვაშვილი.

ხის მკვებავი წყაროსი და კვლავ შეივსო ახალ მოწამეთა სისხლით. 9 აპრილამდე — გაშლილი ფრთები, ოცნებები, გალღებულნი შეძხილები; შემდეგ შინდისფერი, თავდახრილი ღრუბლები და ყვავილების ზღვა. ...წავიდნენ, გაქრნენ გმირები, ღრუბლებით დაიფანტნენ, ქარით გადაიქროლეს, მრავალი მუხა აღმოცენდებ მათ ჩამდნარ ძვლებზე, მათი ხმით ათასი წყარო აჩუხჩუხდებ. მათი სისხლი კი ცას შეჩუხჩუხებს და მოგვიწოდებს: აღსდექ, საქართველო! და რადგან გვსურს და გვევალება „მოვუაროთ საქართველოს“, ამიტომ ისევ სიმღერით გვგებებით მომავალს: „ჩემო კარგო ქვეყნავ“...

ვაკა ლეშავა



9 აპრილი

- ს — აქართველო შეიმოსა ძაძებით,
- ა — გზედმა დღემ შემოალო კარები,
- ჟ — რისტიანმა ლახვარი სცა ქრისტიანს,
- ა — რ დაინდო, არც გაუფო არავის.
- რ — უსთაველმა ველარა თქვა შიარი,
- თ — ვალი ველარ გაუსწორა ტიტანებს,
- ვ — ელარავინ ველარ იცნო თამარი,
- მ — ლდა ეცა საქართველოს შემხედვარს,
- ლ — აღისფერი ეს პაწაწა სამშობლო
- ო — ბოლივით ცხარე ცრემლით ქვეითინებს.

რა არის წუთისოფალი — ანუ მხრა აპრილი

გარბის წუთი და წამი, გარბის დღე, გარბის ღამე, რუსებს ჰგონიათ, რომ ჩვენ ღაგვავიწუდება ის დღე. როცა დები და ძმები, სულით შეკრულნი ერთად, სანთლებით ხელში, ღამე, მუხბოლრეკილი იღვნენ, გაისმა ზარის რეკვა, უბედურების მაცნე, წარმშუბრელად დადგნენ, დები და ძმები წამსვე, სიკვდილის ბოლო წუთამდე, ლოცვით და ვედრებით გასძლეს, მაგრამ, ვაი, რომ ღმერთმა ველარ უშველა ბავშვებს!

ქალწვავა ვაჟას

ეპ, როგორ მინდა შენს თეთრწვერა სახეს ვუყურო, მკერდში ჩაგეკრა, შენს გულისცემის გუგუნს ვუსმინო, მე ახლაც ვგრძნობ შენს ნაკოცნს სანარადისოს, შენს გამოხედვას, გამოჭროლვას არწვეისებურს, მე ახლაც გხედავ მზრებამლილს და ტანგამართულს, შენს იდეებში გადაიქროლილს, შორს გადაყარულს, შენს ხელს აწეულს და დამღერებულ შენებრ შევლევოს, შევი ზღვასავით აბობოქრებულ ქართველ პატრიოტს!

თამაზა კოსტავა

სალოცავი, თავისი მრწამსის გადასარჩენად 9 აპრილის ღამეს მადლ ღმერთს მოუხნო. სიმღერით შეიგება ქართველი სიკვდილს. ან კი რა დაუდგებოდა წინ სამშობლოს ძლიერებაზე უსინათლოთა მიერ გულიდან ნამღერ სიმღერას?! წინ ტანკი და ნიჩაბი გადაელოდა?! — არა და არა! „დაუკარით, რომ ძველ ხან-ჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლაში დაინარჯოს, გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“ „ხორბი ცხელი სიმღერით“ დაიფარეს. შეაწყვეტინეს სიმღერა. შეაწყვეტინეს, მაგრამ შემდეგ ქა-

